



საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო



Empowered lives.
Resilient nations.



Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

2020 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (Tracer Study)

კვლევის ანგარიში მომზადებულია საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ

თებერვალი, 2021

თბილისი, საქართველო

სარჩევი

შესავალი	3
მეთოდოლოგია.....	3
კვლევის შედეგები.....	4
<i>ნაწილი I: კურსდამთავრებულთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები და მიღებულ განათლებასთან დაკავშირებული ასპექტები.....</i>	4
<i>ნაწილი II. მიმდინარე საქმიანობა.....</i>	11
<i>ნაწილი III. სამომავლო გეგმები და საგანმანათლებლო პროცესის შეფასება.....</i>	19
<i>ნაწილი IV. კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი</i>	23
დასკვნა	25

შესავალი

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA) 2016 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში ახორციელებს პროექტს „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება,“ რომელიც მიმდინარეობს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. პროექტი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ახალი მოდელის - სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური მიდგომით პროგრამების დანერგვას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

მეთოდოლოგია

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის (ე.წ. Tracer Study) მიზანია სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში განვითარებული ცვლილებების შესწავლა.

კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანებს ისეთი საკითხების შესწავლა წარმოადგენს, როგორცაა:

- კურსდამთავრებულთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლებლით კმაყოფილება;
- კურსდამთავრებულთა სამომავლო საგანმანათლებლო გეგმები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე კურსდამთავრებულთა განათლების დონე;
- კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/თვითდასაქმება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება;
- დაუსაქმებლობის შემთხვევაში, უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება;
- დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სამუშაო პირობებით კმაყოფილება;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირი;
- იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დაეხმარა ან რომლებმაც შეუშალა ხელი ცვლილებების (დასაქმება/თვითდასაქმება და სწავლის გაგრძელება) განხორციელებას;
- კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება.

კვლევა ეფუძნება სტანდარტიზებულ კითხვარს, რომელიც ადმინისტრირებულია საქართველოს ფერმერთა ასოციაციის “ქოლ-ცენტრის” მიერ სატელეფონო ინტერვიუს ფორმატში. კურსდამთავრებულთა კვლევის მოცემული ეტაპი ჩატარდა 2020 წლის დეკემბერსა და 2021 წლის იანვარში და გამოიკითხა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 2020 წლის კურსდამთავრებულები, რომლებიც სწავლობდნენ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალურ პროგრამებზე სოფლის მეურნეობის მიმართულებით (აღნიშნული კვლევა არ მოიცავს

მეღვინეობის მიმართულებით კურსდამთავრებულთა გამოკითხვას). რესპონდენტთა რაოდენობა შეადგენდა 39 კურსდამთავრებულს, რომელთა შერჩევა მოხდა წინასწარ განსაზღვრული ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზიდან. სატელეფონო გამოკითხვის ფარგლებში დაკავშირება მოხდა მხოლოდ 28 კურსდამთავრებულთან, რადგან დანარჩენი 11 კურსდამთავრებულის შემთხვევაში, მიუხედავად კვლევის პროცესში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტიური ჩართულობისა, სწორი საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა. შესაბამისად, გამოკითხა 28 კურსდამთავრებული.

კვლევის შედეგები


როგორც უკვე აღინიშნა, 2020 წლის დეკემბერსა და 2021 წლის იანვარში საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ პროექტის “სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება” ფარგლებში ჩატარა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (სამუშაოზე დაფუძნებული აგრარული დუალური სწავლება) კურსდამთავრებულთა კვლევა მათი შემდგომი საქმიანობის (სწავლის გაგრძელება, დასაქმება და ა.შ.) და მათ მიერ პროფესიული პროგრამების შეფასების შესწავლის მიზნით.

ჩატარდა სატელეფონო ინტერვიუ. მთლიანობაში გამოიკითხა 28 კურსდამთავრებული.

ნაწილი I: კურსდამთავრებულთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები და მიღებულ განათლებასთან დაკავშირებული ასპექტები


გამოკითხული 28 კურსდამთავრებულიდან 71% კაცია, ხოლო 29% ქალი.

გრაფიკი 1. კურსდამთავრებულთა განაწილება სქესის მიხედვით



გამოკითხული კურსდამთავრებულიდან 5 ადამიანი 18-დან 25 წლამდეა, 25 წლიდან 40 წლამდეა - 16 კურსდამთავრებული და 40 წლიდან ზევით - 7 კურსდამთავრებული.


გრაფიკი 2. კურსდამთავრებულთა განაწილება სასწავლებელსა და სასწავლო პროგრამის მიხედვით



გრაფიკ 2-ზე მოცემულია კურსდამთავრებულთა განაწილება კოლეჯისა და პროფესიული პროგრამის მიხედვით. გამოკითხულთა უმეტესმა ნაწილმა (16 პროფესიულმა სტუდენტმა) მეხილეობის პროგრამა დაამთავრა, რომელთაგან უმეტესობა კაცია. 7-მა გამოკითხულმა დაამთავრა მეცხოველეობის პროგრამა, რომელთაგან 5 კაცია და 5-მა მეფუტკრეობა, რომელთაგან 4 კაცია.


თითქმის ყველა გამოკითხული სტუდენტი ეროვნებით ქართველია, მხოლოდ ერთია ეროვნებით ოსი. მათგან უმრავლესობას 82%-ს არ აქვს რაიმე სახის სოციალური სტატუსი. იძულებით გადაადგილებული სტატუსის მქონე კურსდამთავრებულების რაოდენობა 7%-ს შეადგენს, სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის მქონე 7%-ია, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა კურსდამთავრებულთა 4%.

გრაფიკი 3. სოციალური სტატუსი



კურსდამთავრებულთა ყველაზე დიდი ნაწილისთვის (43%) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებამდე მიღწეული ყველაზე მაღალი საგანმანათლებლო საფეხური უმაღლესი განათლება იყო, რომელთაგან 33%-მა ბაკალავრთან ერთად მაგისტრატურაც დაამთავრა. სრული ზოგადი განათლება ჰქონდა 14%-ს, პროფესიული 21%-ს, ხოლო საბაზო განათლება 22%-ს ჰქონდა მიღებული.

გრაფიკი 4. მიღწეული განათლების დონე



იმ მიზეზებს შორის, რომელთაც გავლენა ჰქონდათ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარების გადაწყვეტილებაზე, ყველაზე მნიშვნელოვნად დასახელდა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის არ არსებობა/სწავლა სახელმწიფო დაფინანსებით (საშუალო - 4.78), სწავლის პარალელურად სამუშაო გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა (საშუალო - 4.70) სასურველი პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა (საშუალო-

4.70), პროფესიის, საგანმანათლებლო პროგრამის და/ან საგანმანათლებლო დაწესებულების პრესტიჟი (საშუალო-4.67) და მარტივად დაძლევადი პროგრამა (საშუალო-4.63)


ცხრილი 1. მიზეზები, რომელთაც ჰქონდათ გავლენა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისას

შეფასება 5 ქულიან სკალაზე	
1. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის არ არსებობა/სწავლა სახელმწიფო დაფინანსებით	4.78
2. სწავლის პარალელურად სამუშაო გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა	4.70
3. სასურველი პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა	4.70
4. პროფესიის, საგანმანათლებლო პროგრამის და/ან საგანმანათლებლო დაწესებულების პრესტიჟი	4.67
5. მარტივად დაძლევადი პროგრამა	4.63
6. პროგრამაზე ჩარიცხვის ალტერნატიული ფორმა, გასაუბრება	4.56
7. კომპლექსური ცოდნისა და უნარების მიღების/განვითარების შესაძლებლობა	4.52
8. მშობლების/ახლობლების რჩევა	4.46
9. თვითდასაქმების შესაძლებლობა	4.33
10. დასაქმების რეალური შესაძლებლობა	4.22
11. სწავლის პარალელურად მუშაობის პროცესში მიღებული ანაზღაურება	4.11
12. კერძო სექტორის/პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულების/ პარტნიორი საწარმოს საცხოვრებელ ადგილთან სიახლოვე	3.85
13. საგანმანათლებლო დაწესებულების საცხოვრებელ სახლთან სიახლოვე	3.81


გამოკითხულ ყველა კურსდამთავრებულს პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში არ უფიქრია სწავლის შეწყვეტაზე/მიტოვებაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 25 რესპონდენტი (89%) აცხადებს, რომ ახლა რომ იღებდეს გადაწყვეტილებას, აირჩევდა იგივე პროფესიას, დარჩენილი 3 რესპონდენტი (11%) არ აირჩევდა იგივე პროფესიას და ამის მიზეზად დასახელდა ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროფესიით ვერ დავსაქმდა და ამავე დროს აღნიშნულმა პროფესიამ ვერ აუმაღლა კვალიფიკაცია.

გრაფიკი 5. ახლა რომ აზარებდეთ, აირჩევდით თუ არა იგივე პროფესიას




გრაფიკი 6. რატომ არ აირჩევდით იგივე პროფესიას




რაც შეეხება პროფესიული სასწავლებლის მიმართ დამოკიდებულებას, 11%-მა (3 რესპონდენტი) განაცხადა, რომ არ აირჩევდა იგივე პროფესიულ სასწავლებელს და დასახელებული მიზეზებია: თეორიული სწავლების დაბალი დონე (34%), პრაქტიკის კომპონენტის დაბალი დონე (33%) და სამსახურის არ ქონა (33%).

გრაფიკი 7. ახლა რომ აზარებდეთ, აირჩევდით თუ არა იგივე პროფესიულ სასწავლებელს




გრაფიკი 8. რატომ არ აირჩევდით იგივე პროფესიულ სასწავლებელს




პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მუშაობდა გამოკითხულთა 79%, რომელთაგანაც ნაწილი იყო დაქირავებით დასაქმებული და ნაწილი - თვითდასაქმებული. უმუშევარი იყო 14% და სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა 7%.

გრაფიკი 9. რას საქმიანობდით პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში




პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში უმრავლესობა (61%) არ მუშაობდა. დასაქმებულთაგან ყველაზე მეტად დასახელდა სრულ განაკვეთზე მუშაობა (25%), 7% და 7% პერიოდულად (სეზონურად) და ნახევარ განაკვეთზე იყო დასაქმებული.

გრაფიკი 10. მუშაობდით თუ არა პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში



პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა მესამედზე მეტმა (36%) გააგრძელა მუშაობა იქ, სადაც მანამდე მუშაობდა, 11%-მა გააგრძელა მუშაობა კომპანიაში, სადაც მუშაობდა და სწავლობდა დუალური პროგრამის ფარგლებში, 14%-მა დაიწყო მუშაობა სხვა კომპანიაში, სადაც მანამდე არც მუშაობდა და არც პრაქტიკას არ გადიოდა, 32%-ს კი საერთოდ არ დაუწყია მუშაობა. დანარჩენი 7% (2 კურსდამთავრებული) მუშაობს თავის ფერმაში.


გრაფიკი 11. პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ დაიწყეთ თუ არა მუშაობა



სწავლის შემდგომი საქმიანობის თვალსაზრისით სქესის მიხედვით სხვაობები არ გამოვლინდა დასაქმებულთა და უმუშევართა შორის. თუმცა, განსხვავებულია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის გამოცდილება. კერძოდ, დაუსაქმებელთა უმეტესი ნაწილი (89%) 25 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფშია. გამოკითხულთაგან, რომლებმაც გააგრძელეს მუშაობა მანამდე სადაც მუშაობდა ან სწავლობდა, უმეტესობა არის მეხილეობის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ კურსდამთავრებულთა წილი, ვისაც სწავლის დასრულების შემდგომ საერთოდ არ დაუწყია მუშაობა, განსაკუთრებით მაღალია შიდა ქართლში (44%), ყველაზე დაბალი კი მცხეთა-მთიანეთში (11%).

რაც შეეხება დაწესებულებებს, რომელთაგანაც კურსდამთავრებულებმა მიიღეს რჩევა დასაქმებასთან დაკავშირებით, უმრავლესობას (93%) არავისგან არ მიუღია რჩევა, ხოლო 4%-მა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მიიღო რჩევა, რომელიც დაამთავრა, ხოლო 4%-მა მიიღო რჩევა პრაქტიკის ადგილიდან.


გრაფიკი 12. რომელი დაწესებულებისგან მიიღეთ რჩევა დასაქმებასთან დაკავშირებით



ნაწილი II. მიმდინარე საქმიანობა


კვლევის შედეგების მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა შრომით საქმიანობაშია ჩართული: 57% აცხადებს, რომ არის დაქირავებით დასაქმებული, 29% კი თვითდასაქმებულია. აღსანიშნავია, კურსდამთავრებულების მცირე ნაწილი 14% ამ ეტაპზე დაუსაქმებელია.

გრაფიკი 13. მიმდინარე საქმიანობა



გამოკითხულთაგან ყველაზე მეტი დასაქმებული (13 კურსდამთავრებულიდან 11 დასაქმებულია) ჰყავს კოლეჯს “აისი”. ასევე უნდა აღინიშნოს რომ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 6 კურსდამთავრებულიდან, 5 დაქირავებით დასაქმებულია.

გრაფიკი 14. დასაქმებულთა განაწილება საგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით




დაქირავებით დასაქმების მაჩვენებელი შედარებით მაღალია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში (შესაბამისად: 67%, 33%), ხოლო თვითდასაქმებულთა უმეტესობა (88%) მამაკაცია.

გამოკითხულთა 57%, 16 კურსდამთავრებული ამჟამად დაქირავებით დასაქმებულია. როგორც კვლევის მონაცემები ცხადყოფს, საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა უმრავლესობისათვის (65%) კერძო დაწესებულება წარმოადგენს დასაქმების წყაროს, ხოლო 35%

სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობს. კერძო დაწესებულებაში დაქირავებით დასაქმებულთაგან მხოლოდ 1 კურსდამთავრებულია, რომელიც მუშაობს იმ კომპანიაში, სადაც სდს-ს ფარგლებში გაიარა პრაქტიკული კომპონენტი.


გრაფიკი 15. რა ტიპის დაწესებულებაში მუშაობთ (დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები)



დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთაგან მხოლოდ ერთმა სამუშაო პროცესში მონაწილეობის მიზნით საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა და თბილისში გადავიდა.

საინტერესოა, რომ დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებულების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობა დაკავშირებულია მათ ამჟამინდელ სამუშაოსთან: 63% ამბობს, რომ მათი საქმიანობა პირდაპირ კავშირშია მიღებულ სპეციალობასთან, 13% კი აცხადებს, რომ მათი საქმიანობა ნაწილობრივ კავშირშია მიღებულ სპეციალობასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებულების 24% მუშაობს ისეთ სფეროში, რომელიც არ არის კავშირში საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობასთან.


გრაფიკი 16. დაკავშირებულია თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობა თქვენს საქმიანობასთან (დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები)



არაპროფილურად დასაქმებულმა კურსდამთავრებულებმა კონკრეტული მიზეზი ვერ დაასახელეს თუ რატომ ვერ დასაქმდნენ თავიანთი პროფესიით.

დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ყველაზე დიდმა ნაწილმა (63%) სამსახურის დაწყება დამოუკიდებლად შეძლო, 12%-ს დაეხმარა ნაცნობ-მეგობარი, ხოლო 25%-ს სამსახური შესთავაზეს იქ, სადაც სწავლის დროს გადიოდა პრაქტიკას.


გრაფიკი 17. ჩამოვითვლით სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებით ალტერნატიულ საშუალებებს და გთხოვთ, გვითხრათ თქვენთვის შესაბამისი ყველა პასუხი (დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები)



რაც შეეხება ხელშეკრულების ხანგრძლივობას მათთვის, ვისაც დამსაქმებლებთან ურთიერთობა იურიდიულად აქვთ გაფორმებული, ყველაზე გავრცელებული პრაქტიკაა ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობა (38%), ხოლო 11%-მა არ იცის რა ხანგრძლივობის სამუშაო ხელშეკრულება აქვს.


დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა საშუალო სამუშაო საათების რაოდენობა კვირის განმავლობაში 45 საათს შეადგენს.

გრაფიკი 18. გთხოვთ, გვითხრათ, რა ხანგრძლივობის სამუშაო ხელშეკრულება გაქვთ (დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები)



დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 18%-ის საშუალო ყოველთვიური ხელფასი 500 ლარამდეა, 57%-ის ანაზღაურება 501-900 ლარის ფარგლებში მერყეობს, 6%-ის შემთხვევაში კი საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება 900 ლარზე მეტია, 19%-მა უარი განაცხადა პასუხზე.

გრაფიკი 19. დაახლოებით, რამდენია თქვენი ყოველთვიური საშუალო ხელფასი (ლარებში) (დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები)




შემოსავლების თვალსაზრისით განსხვავებული სურათი იკვეთება სქესის ჭრილში. კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომელთა ანაზღაურება 500 ლარზე მეტია, უმეტესობა (70%) არის კაცი. შესაბამისად, გამოკითხული ქალი კურსდამთავრებულების უმეტესობისთვის საშუალო ყოველთვიური ხელფასი 500 ლარზე ნაკლებია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებულებიდან უმეტესობამ (63%) დააფიქსირა, რომ მათი ყოველთვიური საშუალო ხელფასი პროგრამის დასრულების შემდეგ გაიზარდა. აქედან ნახევარზე მეტი არის კაცი და ამავე დროს მეხილეობის პროგრამის კურსდამთავრებული.


რაც შეეხება სამუშაო მოთხოვნებსა და კვალიფიკაციას შორის შესაბამისობას, უმეტეს შემთხვევაში (56%) კვალიფიკაცია და სამუშაოს მოთხოვნები შესაბამისობაშია. კურსდამთავრებულთა 38%-თვის კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული სამუშაოსთან.

გრაფიკი 20. როგორ შეაფასებდით თქვენი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობას (დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებულები)



კვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ ამჟამად დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებულების უმეტესობა კმაყოფილია თავიანთი სამსახურით. 75% კმაყოფილია ამჟამინდელი სამუშაოთი, ხოლო 13%-მა ნაწილობრივი კმაყოფილება გამოხატა. დანარჩენებმა არ უპასუხეს კითხვას.


გრაფიკი 21. კმაყოფილი ხართ თუ არა სამსახურით (დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებულები)



როგორც ზემოთ აღინიშნა, საგანმანათლებლო დაწესებულებების (29%, 8 კურსდამთავრებული) თვითდასაქმებულია. თვითდასაქმებული კურსდამთავრებულებიდან არც ერთ რესპონდენტს მოუწია საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.


თვითდასაქმებულთა ნახევარზე მეტი (75%) საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით საქმიანობს. თვითდასაქმებული კურსდამთავრებულების 50% აღნიშნავს, რომ მათი საქმიანობა პირდაპირ კავშირშია მიღებულ სპეციალობასთან, 25%-მა მიუთითა ნაწილობრივი კავშირის შესახებ. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მისი საქმიანობა არ არის დაკავშირებული საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასთან. ამის მიზეზად დაასახელა თავის პროფესიაზე (მეხილეობა) დაბალი მოთხოვნა.

გრაფიკი 22. დაკავშირებულია თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობა თქვენს საქმიანობასთან (თვითდასაქმებული რესპონდენტები)




თვითდასაქმების ფარგლებში წარმოებულ საქმიანობებში წამყვან მიმართულებას მესაქონლეობა და მეხილეობა წარმოადგენს.

გრაფიკი 23. თვითდასაქმების ფარგლებში, რა ტიპის მეურნეობაში ხართ ჩართული/რა ტიპის კერძო ბიზნესი გაქვთ (თვითდასაქმებული რესპონდენტები)



რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას, გამოკითხულთა 50%-მა არ დაასახელა თავისი საშუალო ყოველთვიური შემოსავალი. 25%-ის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი 500 ლარი და ნაკლებია, 12.5%-ის შემოსავალი 201-300 ლარის ფარგლებში მერყეობს. მხოლოდ ერთ რესპონდენტმა დაასახელა, რომ მისი ყოველთვიური საშუალო შემოსავალი შინამეურნეობიდან აღემატება 2,000 ლარს.

გრაფიკი 24. დაახლოებით, რამდენია თქვენი ყოველთვიური საშუალო შემოსავალი შინამეურნეობიდან (ლარებში) (თვითდასაქმებული რესპონდენტები)




გენდერული ჭრილის მიხედვით ანალიზი აჩვენებს, რომ თვითდასაქმებულთა უმეტესობა (87.5%) კაცია.

თვითდასაქმებულების 50%, რომელმაც ვერ დაასახელა შემოსავალი, ფლობს შერეულ მეურნეობას (სასათბურე მეურნეობა, მებოსტნეობა) და გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.


როგორც კვლევის მონაცემები ცხადყოფს, თვითდასაქმებულთა უმრავლესობას (75%) ჰქონდა საკუთარი ბიზნესის დაწყების მოტივაცია, სანამ პროფესიულ განათლებას დაეუფლებოდა. დანარჩენმა 25%-მა კი ვერ შეძლო შესაბამისი სამსახურის შოვნა და ამიტომ გადაწყვიტა საკუთარი ბიზნესის დაწყება.

გრაფიკი 25. რატომ გადაწყვიტეთ შინამეურნეობის/საკუთარი ბიზნესის წამოწყება (თვითდასაქმებული რესპონდენტები)




თვითდასაქმებულებიდან 2-მა რესპონდენტმა (25%) შესაბამისი კვალიფიკაცია დაასახელა საკუთარი ბიზნესის დაწყების მიზეზად, ხოლო დანარჩენმა ნაწილმა მიზეზებად დაასახელა რესურსების (მაგ., სკები, ფართი, ფული, მანქანა) ფლობა, საკუთარი ბიზნესის ფლობის უპირატესობა და ბიზნესის მართვის კარგი უნარები.

გრაფიკი 26. რატომ გინდოდათ, რომ გქონოდათ შინამეურნეობა/საკუთარი ბიზნესი (თვითდასაქმებული რესპონდენტები)




რაც შეეხება სამუშაო მოთხოვნებსა და კვალიფიკაციას შორის შესაბამისობას, კვალიფიკაცია და შესასრულებელი სამუშაო შესაბამისობაშია ან კვალიფიკაცია უფრო მაღალია, ვიდრე შესასრულებელი სამუშაო რესპონდენტების 75%-თვის. თვითდასაქმებულთა 12.5% თვლის, რომ მათი კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული სამუშაოსთან.

გრაფიკი 27. როგორ შეაფასებდით თქვენი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობას (თვითდასაქმებული კურსდამთავრებულები)




რაც შეეხება თვითდასაქმებულთა კმაყოფილებას საკუთარი სტატუსით, მათი უმრავლესობა (62.5%) კმაყოფილია, რომ დაკავებულია საკუთარი ბიზნესით, ხოლო 12.5% ნაწილობრივ კმაყოფილებას აფიქსირებს.

გრაფიკი 28. კმაყოფილი ხართ თუ არა იმით, რომ გაქვთ შინამეურნეობა/საკუთარი ბიზნესი (თვითდასაქმებულის რესპონდენტები)



საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა 14% (4 რესპონდენტი) ამჟამად დაუსაქმებელია და მათი ნახევარი (50%) ეძებს სამუშაოს.


გრაფიკი 29. ეძებთ თუ არა ამჟამად სამუშაოს (დაუსაქმებელი რესპონდენტები)



დაუსაქმებელთა 50%-მა აღნიშნა, რომ არ ეძებს სამუშაოს და აქედან ერთი აპირებს სწავლის გაგრძელებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სხვა პროფილით (ჰუმანიტარული მეცნიერებები, ქართული ფილოლოგია). ხოლო მეორე კურსდამთავრებული, სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ კოლეჯში იგივე პროფილით (მეცხოველეობა).

რაც შეეხება იმ კურსდამთავრებულებს (2 რესპონდენტი), რომლებიც ეძებენ, მაგრამ ვერ ახერხებენ სამუშაოს პოვნას, ერთმა მიზეზად დაასახელა არასაკმარისი გამოცდილება და შემოთავაზებული ხელფასის სიმცირე, ხოლო მეორე თვლის, რომ საკმარისი დრო და რესურსი არ დაუთმო სამსახურის მოძებნას.


გრაფიკი 30. როგორ ფიქრობთ, პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ რატომ ვერ პოულობთ სამსახურს (დაუსაქმებელი რესპონდენტები)



ნაწილი III. სამომავლო გეგმები და საგანმანათლებლო პროცესის შეფასება


გარდა მიმდინარე საქმიანობისა, კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა სამომავლო გეგმები. როგორც აღმოჩნდა, კურსდამთავრებულთა 54% გეგმავს სწავლის გაგრძელებას, 29% არ გეგმავს, ხოლო 17%-ს ჯერ არ გადაუწყვეტია.

გრაფიკი 31. გეგმავთ თუ არა სწავლის გაგრძელებას




სწავლის გაგრძელებას გეგმავს 15 (54%) კურსდამთავრებული. აქედან უმეტესობა (73%) სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ კოლეჯში სხვა პროფილით. ჯამში სხვა პროფილით სწავლის გაგრძელებას აპირებს 8 კურსდამთავრებული (53%). აქედან 5-მა კურსდამთავრებულმა ჯერ არ იცის რა მიმართულებით გააგრძელებს სწავლას. დანარჩენები გეგმავენ მეზაღეობის, მეფუტკრეობის, მევენახეობა და მებოსტნეობის შესწავლას.

გრაფიკი 32. თუ გეგმავთ სწავლის გაგრძელებას, გთხოვთ დააკონკრეტოთ თქვენი პასუხი




იმ ცოდნასა და უნარებში, რომელთა განვითარებასაც ისურვებდნენ კურსდამთავრებულები, ყველაზე მაღალი სიხშირით დასახელდა საქმის წარმოებისა და ორგანიზების უნარი (93%), შემდეგ უცხო ენის ცოდნა (82%), საერთაშორისო გამოცდილების მიღება (82%) და თეორიული ცოდნის გაღრმავება (79%).

გრაფიკი 33. ისურვებდით თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი ცოდნისა და უნარების განვითარებას



პროფესიული განათლების მიღების შემდეგ დამატებითი ტრენინგები გაიარა გამოკითხულთა 54%-მა. დასახელებულ დარგობრივ ტრენინგებს შორისაა ტრენინგი მეცხოველეობაში, მესაქონლეობაში (ხელოვნური განაყოფიერება), მეხილეობაში (კენკროვანი კულტურების წარმოება), მეფუტკრეობაში, ფერმის მართვაში, ნიადაგისა და მცენარეთა მოვლაში, ვეტერინარიაში, მარცველული კულტურების წარმოებაში, მევენახეობაში და სხვა.


გრაფიკი 34. გაიარეთ თუ არა დამატებითი ტრენინგები პროფესიული განათლების მიღების შემდეგ



რაც შეეხება პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტებს, რომელთა გაუმჯობესებასაც ისურვებდნენ რესპონდენტები, ამ კუთხით დასაქმებაზე ზრუნვა დასახელდა ყველაზე მაღალი სიხშირით და კურსდამთავრებულთა 68%-მა მიუთითა, რომ ხსენებული ასპექტი საჭიროებს გაუმჯობესებას. გამოკითხულთა აზრით, ყველაზე მეტად, გაუმჯობესებას საჭიროებს დასაქმების ფორუმები (61%), სტუდენტური დაზღვევა (50%) და ტრანსპორტით მომსახურება (46%). დასაქმების ფორუმებთან დაკავშირებით დასახელდა, რომ საჭიროა სასწავლებლის უფრო მეტი ჩართულობა, დასაქმების შესაძლებლობებზე მეტი ინფორმაციის გადაცემა სასწავლებლის მხრიდან. ამავე დროს დასაქმების ფორუმები უფრო ხშირად უნდა ტარდებოდეს. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა დისტანციური სწავლების


გაუმჯობესება, რადგან პრაქტიკის კომპონენტი სრულყოფილად ვერ შესრულდა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გათვალისწინებით. ამავე დროს, გამოიკვეთა მასწავლებლის და ინსტრუქტორის გადამზადების საჭიროება უცხოეთში, რომ მოხდეს მათთვის თანამედროვე მიდგომების გაცნობა და კვალიფიკაციის ამაღლება. უცხო ენის სწავლების კუთხით, საჭიროა სწავლა დაიწყოს საბაზისო დონიდანაც, რომ ყველამ შეძლოს სწავლა.

გრაფიკი 35. ახლა ჩამოგითვლით პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს. გთხოვთ, გვითხრათ, რომელი მათგანი საჭიროებს გაუმჯობესებას



რაც შეეხება საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების ზეგავლენას სამუშაოს დაწყების პროცესზე მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ გამოკითხულთა 64% და, მათი აზრით, პროფესიული განათლების მიღება დასაქმების კარგი წინაპირობაა. ამავე მოსაზრებას ნაწილობრივ იზიარებს კურსდამთავრებულთა 29%. ხოლო დანარჩენმა 7%-მა კითხვას პასუხი არ გასცა.

გრაფიკი 36. თქვენი აზრით, მთლიანობაში, პროფესიულ სასწავლებელში მიღებული განათლება ხელს უწყობს თუ არა სამუშაოს დაწყებას




ნაწილი IV. კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელია 86%. მათ შორის, გამოკითხული ქალი რესპონდენტებიდან 75%-ია დასაქმებული, ხოლო მამაკაცებში დასაქმება შედარებით მაღალია და 90%-ს შეადგენს. ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით ყველაზე მაღალი დასაქმების მაჩვენებელი (94%) დაფიქსირდა 26-40 წლის ასაკობრივ კატეგორიაში.

რაც უფრო მაღალია კურსდამთავრებულთა განათლების წინმსწრები დონე, მით უფრო მეტია დასაქმების მაჩვენებელი. დასაქმების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გამოვლინდა საბაზისო განათლების მქონე პირებში (66%), რადგან მათ სურთ სწავლის გაგრძელება განათლების შემდგომ საფეხურზე. დასაქმების მაჩვენებელი განათლების საფეხურის შესაბამისად იზრდება და საშუალო განათლების შემთხვევაში - 75%-ია, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების 91%-ია დასაქმებული. საგულისხმოა, რომ პროფესიული განათლება დასაქმებული რესპონდენტებისთვის კვლევის დროს წინმსწრებ დონედ დაფიქსირდა ექვს შემთხვევაში და მოცემულ კატეგორიაში დასაქმების მაჩვენებელი 100%-ს უტოლდება.

გრაფიკი 37. დასაქმების მაჩვენებელი წინმსწრები განათლების კრილში



დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა სამცხე-ჯავახეთში (86%). შემდეგ მოდის რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (80%), მცხეთა-მთიანეთი (67%) და სამეგრელო და ზემო სვანეთი (33%). საერთო ჯამში, დასაქმების მაჩვენებელი არცერთ რეგიონში არ არის 30%-ზე ნაკლები.

ცხრილი 2. დასაქმების მაჩვენებელი რეგიონის კრილში

რეგიონი	დასაქმებულთა მაჩვენებელი	
	რაოდენობა	%
მცხეთა-მთიანეთი	3	67%
სამეგრელო და ზემო სვანეთი	6	83%
შიდა ქართლი	5	100%
სამცხე ჯავახეთი	1	100%
კახეთი	13	85%

რაც შეეხება მიმართულებების მიხედვით დასაქმების მაჩვენებელს, სხვა ჯგუფებთან შედარებით მაღალია დასაქმება მეფუტკრეობაში (100%).

ცხრილი 3. დასაქმების მაჩვენებელი მიმართულების კრილში

რეგიონი	დასაქმებულთა მაჩვენებელი	
	რაოდენობა	%
მეხილეობა(კურკოვანი კულტურები/თესლოვანი კულტურები/კაკლოვანი კულტურები)	16	81%
მეცხოველეობა	7	86%
მეფუტკრეობა	5	100%

დასკვნა

2020 წლის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი 86%-ია. დასაქმების მაჩვენებელი განსხვავდება კურსდამთავრებულთა ასაკის, სქესის, საგანმანათლებლო მიმართულებებისა და წინმსწრები განათლების მიხედვით.

აგრარული მიმართულებით პროფესიული განათლების მიღება საინტერესოა ახალგაზრდებისთვის, თუმცა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით ყველაზე მაღალი დასაქმების მაჩვენებელი (94%) დაფიქსირდა 26-40 წლის ასაკობრივ კატეგორიაში. გენდერულ ჭრილში ანალიზის მიხედვით, დასაქმებულთა შორის უმრავლესობა მამაკაცია. გამოკითხულ მამაკაცთა 90% აღნიშნავს, რომ დასაქმებულია, ხოლო ქალი გამოკითხულებიდან 75%-ია დასაქმებული. დასაქმების მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა მეფუტკრეობაში (100%).

რაც შეეხება, კურსდამთავრებულთა კმაყოფილებას პროფესიული განათლებით, მათი უმრავლესობა კმაყოფილია მიღებული პროფესიული განათლებით და დადებითად აფასებს საგანმანათლებლო დაწესებულებას, თუმცა ასევე უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დასაქმებაზე ზრუნვა, დასაქმების ფორუმები, სტუდენტური დაზღვევა და ტრანსპორტით მომსახურება საჭიროებს გაუმჯობესებას. ასევე რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა დისტანციური სწავლების გაუმჯობესება, რადგან პრაქტიკის კომპონენტი სრულყოფილად ვერ შესრულდა. ამავე დროს, გამოიკვეთა მასწავლებლის და ინსტრუქტორის გადამზადების საჭიროება უცხოეთში, რომ მოხდეს მათთვის თანამედროვე მიდგომების გაცნობა და კვალიფიკაციის ამაღლება. უცხო ენის სწავლების კუთხით, საჭიროა სწავლა დაიწყოს უცხო ენის დაბალი დონიდანაც, რომ ენის დაუფლება მაქსიმალურად ყველამ შეძლოს.